პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 280 (19721) შაბათი, 6 დეკემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 4 დეკემბრის სხდომაზე განხილია და მთლიანად მოიწონა ინდოეთში მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები.

აღინიშნა უაღრესად გულთბილი მასპინძლობა, რომელიც ინდოეთის ხალხმა და მთავრობამ გაუწიეს საბჭოთა ხელმძღვანელ პრემიერ-მინისტრ რაჟივ განდისთან მოლაპარაკების დროს ღრმად გაანალიზეს თანამეგობრობის უდიდესი პრობლემები, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის სრულყოფის საქმეში ორი დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ურთიერთმოქმედების საკითხები. დაადასტურეს, რომ ორივე მხარე ერთგულობს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის 1971 წლის ხელშეკრულების, რომლის თანამიმდევრული რეალიზაცია დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა კეთილნაყოფიერი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ორი სახელმწიფოს მშვიდობიან თანაარსებობას მათთვის და მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობისათვის. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დელის უმაღლესი დონის შეხვედრამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ერთმანეთს უახლოვდება ორი ქვეყნის შეხედულებანი ძირითად საერთაშორისო საკითხებზე. მან თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობა როგორც ორმხრივ საქმეებში, ისე საერთაშორისო საქმეებშიც.

დელის დეკლარაცია ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს პრინციპებს შესახებ ახლებური პოლიტიკური აზროვნების დოკუმენტია, რომელიც შეესაბამება ბირთვულ-კოსმოსური საუკუნის პირობებს. მასში ჩამოყალიბებული პრინციპები და იდეები გამოხატავს მთელი მსოფლიო გაერთიანების ინტერესებს, ყველა ხალხის მისწრაფებებსა და იმედებს, მიზნად ისახავს კაცობრიობის მშვიდობიან მომავალს. სსრ კავშირი და ინდოეთი, ბევრი სხვა სახელმწიფო უკვე აბორიგინებენ მათ კონკრეტულ საგარეო-პოლიტიკურ პრაქტიკაში. მ. ს. გორბაჩოვისა და რ. განდის მოლაპარაკებამ დადასტურა საერთო დაინტერესება აზიის კონტინენტზე და სხვა რაიონებში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებით, მზადყოფნა — ეძებონ კონფლიქტურ სიტუაციათა მოწესრიგების, სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზაციის, ხელსაყრელი ეკონომიკური კავშირის განვითარების გზები. ამ მიზნებისაკენ წინსვლა შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად, ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე ნდობისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნის გზით.

ვიზიტის მთელი ატმოსფერო, ორი ხელმძღვანელის მოლაპარაკებისა და განსაკუთრებით დიალოგის ხასიათი, ამის შედეგად მიღებული დოკუმენტები მოწმობს, თუ რა უნიკალურია იმ ურთიერთობის ხასიათი, რომელიც სხვადასხვა სოციალური სისტემის ორ დიდ სახელმწიფოს შორის მყარდება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა და ფართო პერსპექტივები აქვს მათს თანამშრომლობას საკუთარი ხალხების საკეთილდღეოდ და საყოველთაო პროგრესისა და მშვიდობის ინტერესებისათვის.

მიღებულია ვრცელი დადგენილება, რომლითაც სამინისტროებსა და უწყებებს ეკალთან თავიანთ ინდოელ პარტნიორებთან კონტაქტით დაუყოვნებლივ დაიწყონ მიღწეულ მორიგებათა და შეთანხმებათა შესრულება ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ დარგებში, იმოქმედონ ინიციატივიანად და შემოქმედებითად, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

განხილეს პარტიული და სახელმწიფო კადრების იმ ამოცანათა საკითხი, რომ განამტკიცონ დისციპლინა, ორგანიზებულობა, გაძლიერონ პასუხისმგებლობა წარმოებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის დარგებში რთულ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების დროს. პოლიტბიუროს აღნიშნა, რომ ამ დარგში არის ნაკლოვანებანი, და პარტიულ კომიტეტებს წინადადება მისცა გაუძლიერონ ყურადღება საწარმოო ტრავმატიზმისა და ავარიულობის თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ მუშაობას, გაზარდონ პარტიისა და მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისადმი პარტიული კონტროლის ქმედითობა, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებაში შრომის დაცვასთან და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გადაჭრით „აიუმჯობესონ ამ მიზნით ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა შრომითს კოლექტივებში, მწვავე რეაგირება მოახდინონ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს უდისციპლინობისა და უპასუხისმგებლობის ყოველ ფაქტზე, გასაზორციელონ პრინციპული ხაზი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

პოლიტბიუროს მოისმინა ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვისა და ნ. ი. რიჟკოვის ინფორმაცია ნიდერლანდის პრემიერ-მინისტრთან ნ. ლუბერსთან საუბრების შესახებ და საბჭოთა კავშირ-ნიდერლანდის მოლაპარაკების შედეგები. ამასთან აღინიშნა, რომ მოლაპარაკებამ ახალი იმპულსი მიანიჭა საბჭოთა კავშირისა და ნიდერლანდის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას, და გამოითქვა მზადყოფნა კიდევ უფრო განავითაროონ დიალოგი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ევროპისა და მთელი მსოფლიოს უშიშროების აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტის ძიების მიზნით.

განიხილა რა ბენინის სახალხო რევოლუციის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან, ბენინის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტთან მ. კერეკუსთან საბჭოთა ხელმძღვანელების მოლაპარაკების შედეგები, პოლიტბიუროს აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელობას საერთო აზრი აქვს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების გზების, მთა შორის განიარაღებასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის უშუალო კავშირის არსებობის შესახებ. დადასტურდა საბჭოთა კავშირის პრინციპული გეზი კვლავაც განამტკიცოს მეგობრობა და თანამშრომლობა ბენინის სახალხო რესპუბლიკასთან და სხვა განთავისუფლებულ სახელმწიფოებთან, რომლებიც განვითარების პროგრესულ გზას დაადგნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს ინფორმაცია ამხანაგ ი. ვ. კაპიტონოვის მეთაურობით რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში წარგზავნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეგობრული ვიზიტის შესახებ, აგრეთვე იმსჯელეს პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ეკონომიკური პოლიტიკის განსორციელების, წარმოების განვითარებისა და მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების ზოგიერთ სხვა საკითხზე.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

5 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრების მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანები, რომლებიც ეხება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა დაგეგმვის, მომზადებისა და სახალხო მეურნეობაში გამოუყენებლობის გაუმჯობესებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების სრულყოფისა და გამოყენების გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ხერხოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილების მიხედვით.

კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, პრორექტორები და პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, მთელი რიგი ფაკულტეტების დეკანები, უმაღლესი სასწავლებლების მაპროფილებელი კათედრების გამგეები, მსხვილი საწარმოო გართიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. ვილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ბ. ვარაქელაშვილი, ა. ნ. ინაური, ბ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლაძე, შ. ა. ჩხეიძე, ბ. ვ. აღლეიცა, გ. გ. გუგბარიძე, ბ. ხ. ემირიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, თ. ი. მოსაშვილი, ნ. რ. საჯაია, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ნ. ს. ეგორეოვი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. ა. სიროვინი.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ა. ს. ბეიორხელიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ბ. ვარძელაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ბ. ბ. ქაშაკაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნ. ს. ავალლიანელი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. მ. ცუბაბა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი ა. ვ. ასათიანი, საქართველოს კომპარტიის აბჯარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. მ. დუმბაძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი თ. ნ. ლოლაძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ი. ნ. ტეხოვა, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი რ. ვ. მეტრეველი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მეონისა“ და ქარხნის გენერალური დირექტორი ნ. ი. კახიშვილი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი ნ. ა. ბაბუნია, ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ნ. ვ. ბალიშვილი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ე. შ. ბარათაშვილი, თბილისის მაჭანასოსაშენებელი ტექნიკუმის დირექტორი ნ. ა. თარხნიშვილი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი ბ. დ. აბლაძე.

აქტივის კრებაზე გამოვიდა ამხ. ნ. ს. ეგორეოვი.

განხილულ საკითხზე კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია. (საძინფორმი).

ᲒᲐᲜᲗᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ, ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

თბილისში, საქმთავარენერგოში გამართული სელექტორული თათბირის მონაწილეებმა განიხილეს საქმის ვითარება საქართველოს ენერგოსისტემაში, საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებისა და ტრანსპორტზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერების ღონისძიებათა შემუშავებისა და სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის საამედოობის უზრუნველყოფის საკითხები. თათბირს უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლაკი.

თათბირზე გამოსულმა ამიერკავკასიის ენერგოსისტემათა გაერთიანებული სადისპეჩერო სამმართველოს უფროსმა კ. თ. პეტროიშვილმა, საქმთავარენერგოს მთავარმა ინჟინერმა ი. ა. ცაგარელმა, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ა. ლაბახუამ და სხვებმა ილაპარაკეს მათ საქვეუწყებო დარგებში შექმნილ სიტუაციაზე.

აღინიშნა, რომ კვლავინდებურად არ ნელდება დაძაბულობა ამიერკავკასიის ერთიან ენერგოსისტემაში, დგას მრავალი პრობლემა, რომლებიც სათბობით მომარაგებასა და მის ხარჯვას უკავშირდება, მთლიანად არ არის აღმოფხვრილი საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევები, მცირეა სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის ეფექტიანობა.

ამ პირობებში ყოველად შეუწყნარებელია ელექტროენერგიის გადახარჯვის შემთხვევები, რომლებიც შეიმჩნევა, მაგალითად, სოხუმში, რუსთავში, გალის, ოჩამჩირის, წალენჯიხისა და სხვა რაიონებში. სალიმიტო დისციპლინას არღვევენ აგრეთვე ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატი და საზღვარ ნავსადგური, ქუთაისის სამკერვალო გაერთიანების ჭიათურის ფილიალი.

ამ საწარმოებმა მხოლოდ იძულებითი შეზღუდვებისა და ჯარიმის სანქციების გამოყენების შედეგად დაიწყეს დადგენილი ნორმების დაცვა.

თათბირმა აღნიშნა ენერგოზედამხედველობის, სახგაზზედამხედველობისა და სახნავთობინსპექციის მზარდი როლი ორგანიზაციების მიერ ენერგორესურსების ხმარების საჭირო დონის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში. საქმთავარენერგოს მიეცა რეკომენდაცია მაქსიმალური ეფექტიანობით გამოიყენოს სანაზისო სიმძლავრეები თბოელექტროსადგურებში ჰიდროელექტროსადგურების წყლის რესურსების შენარჩუნების მიზნით.

გაზსასკომისა და საქტრანსგაზის უყურადღება მიეპყრო იმას, თუ რაოდენ საჭიროა დროულად გადაეცეს საექსპლოატაციოდ ქუთაისი-სოხუმის გაზსადენი, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტისა კი იმას, რომ საჭიროა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სათბობით მომარაგების საკითხების მოწესრიგება, რომლის მწვავე ნაკლებობას ჯერ კიდევ განიცდიან ქუთაისში, სოხუმში, გორში, მარნეულში, გარდაბანში.

თათბირზე გააანალიზეს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის მიერ გამოვლენილი სეზონზული ხარვეზები გორის, კასპის, ცხინვალის და სხვა რაიონებში შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მზადების დროს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს რა საწარმოო ტრავმატიზმის არსებულ ფაქტებს, თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ არ შეიძლება ამ შემთხვევების ურეგირებოდ დატოვება, რომ სისტემატურად უნდა მოწმდებოდეს იმათი საქმიანი და მორალური თვისებები, ვინც პასუხს აგებს ტრანსპორტის უაღრესი მუშაობისათვის.

თათბირზე განსაზღვრეს ამიერკავკასიის რკინგზის განყოფილებებში ტვირთზიდვის მეტი რიტმულობის მიღწევის კონკრეტული გზები, აგრეთვე მასალებით შეუფერხებელი მომარაგებისა უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის მთელი რიგი ორგანიზაციების მუშაობის „ვიწრო“ ადგილების აღმოფხვრის ღონისძიებანი. (საძინფორმი).

ᲠᲐᲓᲘᲡ ᲬᲔᲛᲞᲘᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲗ

მცხეთის რაიონის მშრომელთა 1987 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

იბრძვიან რა სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მცხეთის რაიონის მშრომელები 1987 წლისათვის კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

1987 წელს გადაჭარბებით შესრულდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის რაიონის წინაშე დასახული ყველა დავალება, შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 4,5 პროცენტით, საგრძნობლად ამაღლდება რენტაბელობის მაჩვენებლები.

სამრეწველო ობიექტებზე ზრდის ტემპის დაჩქარებით გამოშვებული იქნება 1 მილიონი მანეთის ზეგეგმიური სასაქონლო პროდუქცია, ხოლო უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება მიაღწევს 3,8 მილიონ მანეთს.

შრომის ნაყოფიერება გეგმიურად შეადარებით გაიზრდება 1,5 პროცენტით, ზეგეგმით გამოშვებული იქნება 220 ათასი მანეთის ხარისხისნიშნიანი პროდუქცია, რაციონალიზატორული წინადადებებიდ დანერგვით მიღწეული იქნება 100 ათასი მანეთის ეკონომია.

დაზოგილი ნედლეულით, მასალებითა და ენერგეტიკული რესურსებით რაიონის წარმოება-დაწესებულებები იმუშაებენ სამ დღეს, საერთოდ კი, უზრუნველყოფილი იქნება 25 ტონა ლითონის, 200 ათასი კვტ საათი ელექტროენერგიის, 70 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის, 90 ტონა პირობითი საწვავის ეკონომია.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა გაიზრდება 10 პროცენტით და იგი წლის ბოლოს მიაღწევს 16,8 მილიონ მანეთს. სახელმწიფოს მიპყიდიან 1000 ტონა მარცვლეულს, 3200 ტონა ყურძენს, 5750 ტონა ხილს, 18.500 ტონა ბოსტნეულს, 1460 ტონა ხორცს, 3200 ტონა რძეს, 1.700 ათას ცალ კვერცხს.

სატრაქტორო პარკში დაიზოგება 50 ტონა სადიზელო საწვავი, 40 ტონა बენზინი. ხელის შრომის ხვედრითი წილი შემცირდება 20 პროცენტით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მეცხოველეობის მიღწევების მოწინავე გამოცდილებათა დანერგვას, მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების პეტარობრივი მოსავლიანობის ზრდას, ფართო გაჭანება მიეცემა კოლექტიური, ოჯახური და ინდივიდუალური იჯარის დანერგვას.

რკინიგზის სადგურში ტვირთბრუნვის გეგმა შესრულდება 28 დეკემბრისათვის, ხოლო ავტოსატრანსპორტო გაერთიანება წლის განმავლობაში გადაზიდავს 28 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს, გადაიყვანს 28 ათას მგზავრს, დანერგავს 20 რაციონალიზატორულ წინადადებას, შრომის ნაყოფიერებას გაზრდის 1,5 პროცენტით, მოგების გეგმას კი შეასრულებს 101,5 პროცენტით.

წლიური დავალება მშენებლობაში შესრულდება 25 დეკემბრისათვის.

საგრძნობლად გაუმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობები, აღმოიფხვრება ვაჭრობაში წყვეტილობა, 300 ათასი მანეთით შემცირდება ზენორმატიული ნამეტები, გაიხსნება ნახევარფაბრიკატების და კულინარული ნაწარმის სპეციალური მაღაზიები, საექსპლოატაციოდ გადაეცემა საყოფაცხოვრებო მომსახურების 7 ახალი ობიექტი, შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 2 პროცენტით, ზეგეგმით მოგება კი — 10 პროცენტით.

გაუმჯობესდება მშრომელთა კომუნალური, სამეფოიანი მომსახურება, გაიზრდება მოსახლეობის დისპანსერიზაციის მაჩვენებელი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

გაგრძელდება ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ბოლნისის რაიონისა და სომხეთის სსრ ეჩმიაძინის რაიონის მშრომელებთან.

სოციალისტური ვალდებულებები მიღებულია რაიონის მშრომელთა კოლექტივებში.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 4 დეკემბრის სხდომაზე განხილია და მთლიანად მოიწონა ინდოეთში მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები.

აღინიშნა უაღრესად გულთბილი მასპინძლობა, რომელიც ინდოეთის ხალხმა და მთავრობამ გაუწიეს საბჭოთა სტუმარს. პრემიერ-მინისტრ რაჟივ განდისთან მოლაპარაკების დროს ღრმად გაანალიზეს თანამეგობრობის უდიდესი პრობლემები, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის სრულყოფის საქმეში ორი დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ურთიერთმოქმედების საკითხები. დაადასტურეს, რომ ორივე მხარე ერთგულობს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის 1971 წლის ხელშეკრულების, რომლის თანამიმდევრული რეალიზაცია დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა კეთილნაყოფიერი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ორი სახელმწიფოს მშვიდობიან თანაარსებობას მათთვის და მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობისათვის. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დელის უმაღლესი დონის შეხვედრამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ერთმანეთს უახლოვდება ორი ქვეყნის შეხედულებანი ძირითად საერთაშორისო საკითხებზე. მან თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობა, და არა თავენებობა. დემოკრატიზაცია იმიტომ გვჭირდება, რომ განვამტკიცოთ ქვეყანა, მივანიჭოთ მას დინამიზმი, რომ არ დაეუშვათ შეცდომები პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. დემოკრატია უნდა გავშალოთ უშიშრად, ისევე როგორც საჯაროობა. ესეც ლენინური პრინციპია.

გარდაქმნამ ახლა თეატრიც მოიცვა. გაჩაღდა კამათი: როგორი უნდა იყოს იგი, როგორ გაუმჯობესდეს. შესაძლოა ყველაფერს ერთბაშად ვერ ავაოკი, უნდა მოსინჯო, შეამოწმო. ამ პროცესის ერთ-ერთი ნიშანია თქვენი შემოქმედებითი კავშირის შექმნა. მან ბევრი რამ უნდა იტვირთოს, დაზეფოს კულტურის სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთმოქმედების მექანიზმი.

ვფიქრობ, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, რომ ახლა კარგი დროა ძიებისათვის. ყველაფერში უნდა ვეძებოთ კონსტრუქციული გადაწყვეტები, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ საერთო 'ზრუნვითა და ტკივილით გამსჭვალული კრიტიკაც თავისთავად აღმშენებლობითია. ჩვენი ყველაზე საშიში მტერია ინერცია, რუტინა, გულარხეინობა, „მოითითებებით“ მუშაობის ჩვეულება. აზროვნების გარდაქმნა — აი, უმთავრესი სიძნელე. ყოველთვის და ყველგან როდი მიმდინარეობს იგი უმტკივნეულოდ, მაგრამ უნდა ვიმოქმედოთ ფართოდ, შემტევთად და თანამიმდევრულად, თითოეული ადამიანი ჩვენბამ ჩვენი საზოგადოების განვითარების დაჩქარების ამოცანათა გადაწყვეტაში.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ პარტიას კვლავაც გადაწყვეტილი აქვს განახორციელოს აქტიური სოციალური პოლიტიკა, ხელი შეუწყოს სულიერ სფეროში მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლებას. შემოქმედებითი ორგანიზაციების შედეგები უნდა იზომებოდეს ახალი ნიჭიერი ნაწარმოებებით, რომლებშიც ნაჩვენები იქნება ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე რეალური პროცესები. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაში დიდი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობის საკითხებმა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, სსრ კავშირის თეატრალურ საზოგადოებათა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე კ. ი. ლავროვი, მ. ა. ულიანოვი, ნ. ნ. ერიომენკო, ა. მ. მამბეტოვი, ბ. რ. კარიევა, ო. ნ. ეფრემოვი, გ. ა. ტოვსტონოგოვი, ვ. ა. ანდრეევი. მათ ილაპარაკეს თანამედროვე პირობებში საბჭოთა ხელოვნების მზარდ მნიშვნელობაზე, არსებულ სიძნელეთა დაძლევის გზებზე, ქვეყნის სულიერი სიმდიდრის შენარჩუნება-გამრავლებისათვის თითოეული ხელოვნის დიდ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. პ. ვორონოვი.

(საკდესი).

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ, ᲓᲠᲝ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

სსრკ თეატრალურ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა

ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე რევოლუციურმა გარდაქმნებმა თეატრალური საქმის ძირეული გარდაქმნაც გამოიწვია. სასცენო ხელოვნება ხალხის აღზრდის, საზოგადოების ზნეობრივი ატმოსფეროს შექმნის დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ხდება. დღეს განსაკუთრებით ძლიერდება თითოეული შემოქმედის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა თავისი შრომისათვის.

სსრ კავშირის თეატრალურ საზოგადოებათა კავშირი მოწოდებულია იყოს პარტიის აქტიური სოციალური. პოლიტიკის გამტარებელი, ხელი შეუწყოს სულიერ სფეროში მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლებას, სათავეში ჩაუდგეს ბრძოლას უღიერებისა და უიდეობის წინააღმდეგ, მხატვრული სიმართლის დაკვიდრებისათვის, ბზარი დაუჭიროს და დაიცვას ტალანტი. კავშირის დამფუძნებელი კრება გაიხსნა 5 დეკემბერს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში.

ტაშით შეხვდნენ დელეგატები და სტუმრები ამხანაგებს ბ. ნ. გორბაჩოვს, ბ. ა. ალიევს, ა. ა. გრომეკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ბ. ნ. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ა. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ს. ლ. სოკოლოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. ა. ბარიყაევს, ა. ი. დობრინინს, ვ. ვ. ზაიანინს, ვ. ა. ნიკონოვს, გ. ა. რაზუმოვსკის, ა. ნ. ბაკულევს, ი. ვ. კაპიტონოვს.

პრეზიდიუმში არიან აგრეთვე თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები.

ყრილობას ესწრებიან საზღვარგარეთელი სტუმრები საერთაშორისო თეატრალური ორგანიზაციებიდან და სოციალისტური ქვეყნების თეატრალური კავშირების წარმომადგენლები.

ყრილობამ უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები: ქვეყნის თეატრალური საზოგადოებრიობის ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად; კავშირის გაძლეგობისა და საერეგნიო კომისიის არჩევნები.

მოხსენება „თეატრი და საზოგადოება რეკონსტრუქციი ცვლილებების ეპოქაში“ გააკეთა სსრ კავშირის თეატრალურ საზოგადოებათა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კ. ი. ლავროვმა.

თეატრის მოღვაწეთა საკავშირო ყრილობა უჩვეულო, გასაოცარ დროს შეიკრიბა, თქვა მან. პარტიის ინიციატივით ქვეყანაში დაიწყო ისეთი ცვლილებები, რომლებიც გადამწყვეტწილად განსაზღვრავენ და საკუთარ ელფერს ანიჭებს ჩვენი ცხოვრების ყოველ დღესაც და ჩვენს ხანგრძლივი ვადის პერსპექტივასაც. განსაცვიფრებელია, რა ცოტა დრო გავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ და რაოდენ ბევრი დაიტია ამ დრომ. თითქოსდა წლები გასულა, გეგონება, ახალ ეპოქაში ვცხოვრობდეთ, ისეთი დინამიზმი, ისეთი ინტენსიურობა შესძინა პარტიამ ჩვენს მოძრაობას, ჩვენს განვითარებას.

ქვეყანაში ახალი საზოგადოებრივი კლიმატი სუფევს, ხოლო ისეთი ცხენები, როგორიცაა „დაჩქარება“, „ხარისხი“, „გარდაქმნა“ „ახალი აზროვნება“, გვევლინებიან არა „კამპანიების“ ძალერ სახელწოდებებად, არამედ იმის ზუსტ აღნიშვნად, თუ რა უნდა გავაკეთოთ, რათა ავიყვანოთ ხალხისა და თითოეული ცალკეული საბჭოთა ადამიანების ცხოვრება ახალ დონეზე, რაკი სიტყვა საქმეს არ დაშორდება, საქმე კი ყველასა და ყოველისათვის საგრძნობ, ხილულ შედეგს მოგვცემს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სფეროში.

ჩვენი ყრილობის წინ გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა სასცენო ხელოვნების წამყვანი ოსტატების ჯგუფთან, მოკავშირე რესპუბლიკების თეატრალური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, თქვა შემდეგ ორატორმა. გამოხატა რა დელეგატების სახელით გულითადი მადლიერება ხელოვნების მოღვაწეებისადმი პარტიის ყურადღების გამო, მან ხაზი გაუსვა, რომ შეხვედრამ მისი მონაწილეები კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრ

თეატრი, დრო, ცხოვრება

(დასასრული)

მრავალფეროვნებისა და სიმდიდრის მიუხედავად ცხადად ვხედავთ იმის საჭიროებას, რომ ერთად, საკავშირო მასშტაბით გადავჭრათ თეატრის საკვანძო პრობლემები, თეატრისა, რომელიც გვერდზე ვერ განუდგება ქვეყნის საერთო დინამიკურ განვითარებას.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა თეატრის ცნების შემადგენელ ნაწილებზე. პირველია საბჭოთა დრამატურგია. მას ჰქონდა დაქვეითებისა და აღმავლობის პერიოდები, და ბევრი რამ მის მდგომარეობაში აიხსნება ისტორიული პერიოდით, რომელსაც ქვეყანა განიცდიდა. თავიანთი როლი შეასრულეს ინდუსტრიალიზაციის ეპოქის პიესებმა, თუმცა დღევანდელობის თვალსაზრისით მას ბევრი რამ ჰქონდა შემორჩენილი სამოქალაქო ომის საგალიტიო თეატრისა და მებრძოლი „ლურჯი ბლუზისაგან". ლიტერატურის ყველა ჟანრთან ერთად საბჭოთა დრამატურგია აღდგა სამშობლოს დასაცავად დიდი სამამულო ომის წლებში, წმიდად მოიხადა თავისი ვალი. მაგრამ ომის შემდეგ დრამატურგიის განვითარებაში იმძლავრა ნეგატიურმა მოვლენებმა. მიმდინარეობდა კულტურის ორგანოებისა და უწინარეს ყოვლისა სამინისტროების ხელში მთელი დრამატურგიული მეურნეობის თავმოყრის პროცესი. თანდათანობით დრამატურგის შემოქმედება სწყდებოდა თეატრის შემოქმედებას. და მალე შენელდა სამოცდაანი წლების გამოცოცხლება, რომელმაც შვა ნიჭიერ დრამატურგთა მთელი პლეადა, თავიანთი ახალი სიტყვა რომ თქვეს. გამეფებული იყო ფანტასტიკური თავიზღვეებობა.

და ყველა ამ ჩიხის მიუხედავად, დრამატურგია დროდადრო არათუ არ ჩამორჩებოდა, არამედ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პროცესების ლიდერიც კი ხდებოდა. განა დრამატურგიამ არ დასვა პირველმა წარმოებაში დასაქმებული ადამიანისადმი მიძღვნილ მთელ რიგ პიესებში მოჩვენებითობის, წამატებების, საკუთარი თავისა და სახელმწიფოს აშკარა მოტყუების და იმ უდიდესი მორალური ზიანის საკითხი, რომელსაც ყველა ეს მოვლენა აყენებს საბჭოთა ადამიანებს.

დრამატურგიას დაუოკებლად სურდა ავსახა რეალური ცხოვრება და რეალური კონფლიქტები, მაგრამ შემოქმედებითს პროცესსან ბიუროკრატიული აპარატის არაბუნებრივი შეერთების გამო ათი წლით შეაოვნდა დრამატურგიაში ახალგაზრდა ნიჭიერ (და უკვე ლამის მოზუცებულ) მწერალთა მნიშვნელოვანი ჯგუფის მოსვლა. მათ სცენაზე გამოიყვანეს იმ სოციალური ფენების ადამიანები, რომლებსაც მის წარმომადგენლობაზე უარს ეუბნებოდნენ. ჩვენ ჯიუტად ვერ ვამჩნევდით, რომ სოციალური რეალობა შეიცვალა, რომ ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდა საშიშ სოციალურ დაავადებათა სიმპტომები, რომ ალკოჰოლიზმის, აპოლიტიზმის, მარტოსულობის, მომხმარებლობის პრობლემა და ბევრი სხვა ყველა ჩვენი პრობლემა იყო, რაზეც სცენას მთელი ხმით უნდა ელაპარაკა. მაგრამ მრავალრიცხოვანი ინსტანციები ქმნიდნენ მრავალ სიძნელეს ახალი დრამატურგიის გზაზე.

ჩვენ გვჭირდება შემოქმედებითი კავშირი, რათა არასოდეს არ განმეორდეს ამგვარი რამ და დრამატურგიის ბედი წყდებოდეს თეატრებში და მათ წყვეტდნენ თეატრის ადამიანები. წყვეტდნენ კომპეტენტურად, საჯაროდ და დემოკრატიულად.

შეეხო რა რეჟისურის მდგომარეობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სწორედ ჩვენს ქვეყანაში ეს პროფესია, იდმინისტრაციულ-პროდიუსერული პროფესიისაგან, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველად იქცა ხელოვნების პროფესიად.

თეატრის სული და გული, კოლექტივის სული და გული, მისი აღმზრდელი, იდეოლოგი, პედაგოგი უწოდა ორატორმა რეჟისორს. საბჭოთა რეჟისურა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც აღიარეს, და ჩვენს ოსტატებს სულ უფრო ხშირად იწვევენ დადგმებისათვის სხვა ქვეყნებში. მაგრამ მაინც რეჟისურის მდგომარეობა, განსაკუთრებით მთავარ რეჟისორთა მდგომარეობა, ვერ დაგვაკმაყოფილებს. უკანასკნელ წლებში დასის იდეოლოგიური ლიდერიდან რეჟისორი სულ უფრო მეტად ხდებოდა მხოლოდ დამდგმელი. წარმოიშვა რეჟისორთა მომთაბარე ტომი. სიხშირე, რომლითაც ათობით და ასობით თეატრში იცვლებოდნენ როგორც მორიგი, ისე თავისი რეჟისორები, სულ უფრო საშიშ ხასიათს იძენდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ყოველ სეზონში ათობით თეატრი ისე რჩებოდა, რომ საეროდ არ ჰყავდა მთავარი რეჟისორები.

დაქვეითების ბიზნეზი მომხსენებელმა იმით ახსნა, რომ სუსტია სწავლება სარეჟისორო ფაკულტეტებზე, უყურადღებოდ ეკიდებიან იმათ პიროვნულ, ადამიანურ თვისებებს, ვისაც თეატრის ბუნების გამო მიეცემა განუსაზღვრელი ძალაუფლება მსახიობებისადმი. თუ თანამედროვე ცენებებს მოვიშველიებთ, სწორედ ადამიანის ფაქტორს უგულებელყოფდნენ ხოლმე მთავარი რეჟისორების შერჩევის, სწავლებისა და დანიშვნის, ახალგაზრდებისადმი უნდობლობის შექმნილი სისტემის დროს.

ახლა განწმენდისა და გარდაქმნის საერთო ატმოსფეროში მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ძალიან გაუბედავად ეკიდებიან კულტურის სამმართველოები და სამინისტროები ახალგაზრდებს, თუმცა დედაქალაქში გამოცხადდა, რომ გიიხსნა შვიდი ახალი თეატრი, რომ მოსკოვის სამმართველოს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაჰყავს რამდენიმე არაპროფესიული კოლექტივი. ეს გაბედული და სასარგებლო ნაბიჯია — იქმნება ახალი წანაგი შეჯიბრის პროცესისა, შემოქმედებითი კონკურენციისა, რომელიც საჭიროა თეატრალური ხელოვნებისათვის, სტიმულს აძლევს მის ძიებას. და კავშირი გვჭირდება იმისათვის, რომ კულტურის ორგანოებთან ერთად შეეიმუშაოთ და განვახორციელეთ ახალი პოლიტიკა, შემოვიღოთ ახალი სისტემა მკაფიო იდეური და მხატვრული პოზიციის მქონე რეჟისორთა აღზრდისა და ყველა ჩვენს თეატრში დანიშვნის საქმეში. მან უნდა შეიმუშაოს ესთეტიკური და ეთიკური კონტროლის ქმედითი ფორმა, რომელიც უთუოდ განხორციელდება კოლეგიურად, საჯაროობისა და დემოკრატიზმის პირობებში.

თეატრის მთავარი მოქმედი პირი, რომლის მეშვეობით ავტორებიც, რეჟისორებიც ხორცს ასხამენ შემოქმედებითს იდეებს, რომლის გულისთვის ხალხი თეატრში დადის, მსახიობია. ჩვენ გვაყავს გამოჩენილი მსახიობები, ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც მშვენივრად წარმოჩინდა სცენაზეც და ეკრანზეც. მაგრამ ბევრ შემთხვევაში სწორედ მსახიობები არიან დღეს თავისთავში დაურწუნებლები, უკმაყოფილონი, ოდესღაც, ოცდაათიან წლებში, სტაციონარული თეატრების სისტემაზე რომ გადავედით, ბოლო მოვუღეთ მსახიობთა მომთაბარეობას. ეს იყო დიდი წინგადადგმული ნაბიჯი. მაგრამ ეს სისტემა ორმოცდაათ წელზე მეტია არ შეცვლილა და ბოლოს და ბოლოს ერთ წერტილზე გაიყინა, გარკვეული თვალსაზრისით შემდგომი განვითარების შემაფერხებელი გახდა.

დასები იბერება, მრავალ თეატრში მათ დიდი ხანია გადაჰარბეს თეატრის ბუნებით, ნისი მხატვრული მოთხოვნილებით განსაზღვრულ დონეს. უკანასკნელ წლებში მიმართავდნენ გაუბედავ ღონისძიებებს დასის განახლებათვის. შემოღებულია კენკურსიანის სისტემა, გაფართოვდა სამხატვრო საბჭოების უფლებები. ყველა ეს პროგრამა ჩამოყალიბებულია იმ თეატრალური ექსპერიმენტის ფორმულით, რომელიც პირველი იანვრიდან დაიწყება სამოცდაათზე მეტ თეატრში.

ორატორმა დაახასიათა ახლანდელი თეატრი და აღნიშნა, რომ თეატრი, მთლიანად გამოტოვა რა სატელევიზიო რევოლუცია, ინფორმაციული აფეთქება, არ ითვალისწინებდა რა მაყურებელთა ხელახალ სულიერ ორიენტაციას, ბევრად არქაული დაწესებულება აღმოჩნდა. გაცილებით უფრო მობილური იყო არაპროფესიული და ნახევრად პროფესიული თეატრალური სტუდიები, რომელთა მოძრაობა ახლა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტი გახდა, და მომავალი კავშირის თვალთახედვა.ს არეში უნდა იყოს ეს მოძრაობა, დაეხმაროს მას, ზოგი რამ კი გადმოიღოს მისგან. მაგალითად, მორალური კლიმატი — ეს არის ერთიანი თეატრალური ოჯახის გრძნობა, რომელსაც ჩვენ ვკარგავთ, ესთეტიკური და ზნეობრივი იდეალის შეგრძნება. ისევე როგორც საჭიროა მცირე სცენებიც — ეს სარკეებია, რომლებიც პროფესიულ თეატრს საშუალებას აძლევენ გარედან შეხედონ თავიანთ თავს. მოხსენებაში დასახლებული იყო კავშირის კიდევ ერთი მიზანი — იზრუნოს მსახიობისათვის, მისი შემოქმედების, მისი ბედის, მისი აღზრდისათვის. მსახიობი, განსაკუთრებით ახალგაზრდა მსახიობი, უნდა იყოს კულტურული, პოლიტიკურად წიგნიერი, საზოგადოებრივად აქტიური ადამიანი და ამ თვისებებით აღმატებოდეს თავის მაყურებლებს ან ყოველ შემთხვევაში ტოლს არ უდებდეს მათ, მათგან საუკეთესოებს.

მრავალი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ და მხოლოდ თეატრისთვის სტრუქტურის კარდინალური შეცვლით, მართვის ისეთი სისტემის, ისეთი მოდელის შექმნის გზით, რომელიც საშუალებას მოგვცემს ბიუროკრატიული შეფერხებების, უწყებრივი არაკომპეტენტურობის გარეშე მაქსიმალური სისწრაფით ვახდენდეთ რეაგირებას სოციალურ სფეროში მიმდინარე ცვლილებებზე. 634 თეატრი განლაგებულია 277 ქალაქში, ხოლო 1861 ქალაქში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს, თეატრები საერთოდ არ არის.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მოზარდ მაყურებელთა თეატრებში, რომლებიც ფეხდაფეხ ვერ მისდევენ ბავშვთა განვითარებას. მოზარდ მაყურებელთა თეატრები, სბავშვო თეატრები საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვარი, კულტურის დარგში ნამდვილი რევოლუციის შედეგია. მაგრამ მოზარდ მაყურებელთა თეატრების სანაზვეროდ ცარიელი დარბაზები მოზრდილთა თეატრების ასეთივე ცარიელი დარბაზების წინამორბედია.

ჩვენს ქვეყანაში თეატრალური საქმის ახალი მოდელი გულისხმობს თეატრების მაქსიმალურად შესაძლო თვითმმართველობას — დამოუკიდებლობას რეპერტუარის ფორმირებაში, ავტორებთან ურთიერთობის დამყარებაში, დასის შემადგენლობისა და დინამიკის განსაზღვრაში, საკუთარი ფინანსების განკარგვაში და სხვ. ამ დებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეტანილია დაწყებული ექსპერიმენტის პირობებში. ამასთან კულტურის სამინისტროებმა, მისმა ადგილობრივმა სამმართველოებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა მკვეთრად უნდა გააძლიერონ ყურადღება თეატრალური საქმის მატერიალურ-ტექნიკური მხარისადმი. იგი არათუ მარტო მიშვებული, არამედ საშინლად მიშვებული!

ექსპერიმენტი, რომელიც იწყება, ამთავითვე შიშს იწვევს: ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანო დარწმუნებულია, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩება. კავშირმა კულტურის ორგანოებთან ერთად კატეგორიულად უნდა იბრძოლოს ექსპერიმენტის 100-პროცენტიანი განხორციელებისათვის.

ჩვენ გვაკისრია მისია დავუბრუნოთ თეატრს უმაღლესი სანახაობითი ხელოვნების მნიშვნელობა. ახალი კავშირი უნდა გახდეს თეატრალურ საზოგადოებათა მზრუნველი მემკვიდრე, არაფერი მნიშვნელოვანი არ დაამსგრიოს, ყველაფერი ცოცხალი შეინარჩუნოს, ყველა სასარგებლო ფუნქცია განაგრძოს, ემსახუროს მრავალეროვნული სასცენო ხელოვნების განვითარებას.

გამოითქვა წინადადება დაარსდეს საკავშირო თეატრალური ფონდი, რომელიც მსახიობს, რეჟისორებსა და კავშირის სხვა წევრებს დაეხმარება მატერიალურადაც და სამართლებრივი თვალსაზრისითაც.

კავშირს შეუძლია შექმნას თეატრალური ხელოვნების პროპაგანდის საკავშირო ბიურო. კავშირს უნდა ჰქონდეს თავისი ბეჭდვითი ორგანო. და ღირს განვიხილოთ საკითხი, რომ ჟურნალი „ტეატრი" გადაეცეს კავშირს.

დასასრულ მომხსენებელმა თქვა: დღეს საოცარ სულიერ კავშირს ვგრძნობთ ყოველივე იმასთან, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება პარტიის ინიციატივით, რომელმაც გააღვიძა ადამიანთა ინიციატივა, თითოეული თავისი აქტით ათავისუფლებს მათს შემოქმედებითს პოტენციალს. ნუთუ ჩვენ, ადამიანები, რომლებიც ყოველდღე, ყოველ საღამოს გამოვდიართ სცენაზე, ვერ დავეხმარებით პარტიას განახლების ამ დიდ საქმეში? ხალხით სავსე დარბაზები და შესანიშნავი სპექტაკლები, რომლებიც ყოველივე საუკეთესოს ჩაუნერგავენ ადამიანს, — აი როგორი უნდა იყოს ჩვენი პასუხი.

შემდეგ დაიწყო კამათი.

6 დეკემბერს ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საკდუსი).

საწარმოო გაერთიანება „აზოტი" რესპუბლიკის იმ 22 საწარმოს შორისაა, რომლებიც მომავალი წლის პირველი იანვრიდან პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადადიან. მოგითხრობთ იმაზე, თუ როგორ ემზადებიან საამისოდ გაერთიანების კომუნისტები.

ერთდროულად მერხებს მიუსხდნენ გაერთიანების ასობით ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და წამყვანი სპეციალისტები. ისინი გადიან სწავლების სპეციალურ კურსს, რათა მომავალი წლის დამდეგიდან წარმატებით აწარმოონ პროდუქციის სახელმწიფო მიღება. აქ შეიქმნა ავრეთვე სამუშაოთა ჯგუფები სახელმწიფო მიღების მოსამზადებლად, ხოლო ადგილებზე მუშებს განუმარტავენ, რას ნიშნავს ახალ წესზე გადასვლა. დირექციისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებულ სხდომებზე განიხილავენ, რამდენად მზად არის თითოეული საამქრო ახლებურად მუშობისათვის.

დაკომპლექტდა სახელმწიფო მიღების ორგანოს შტატები. იგი საწარმოს ხარისხი, რომელსაც ისინი ელექტროლიზერი მანგანუმის ორანგის მისაღებად გვიგზავნიან, ხშირად არადამაკმაყოფილებელია. გასაგებია, ამით ხარისხიან პროდუქციას ვერ გამოუშვებ. შარშან და წელს, მაგალითად, დავიწუწნეთ და უკან დავაბრუნეთ დიდალი უხარისხო ნედლეული. მომავალში ჯეროვნად შევამოწმებთ მომმარაგებლებისაგან მიღებულ პირველადს ნედლეულს და მასალებს, უკიდურესი დარღვევების შემთხვევაში გამოვიყენებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებას, რომლის ძალითაც მომწოდებელთა შეცვლის უფლება გვაქვს. ამან უთუოდ ნაყოფი უნდა გამოიღოს.

ამასთანავე ამ საწარმოში რიდი ცდილობენ თავიანთი შეცდომები და ხარვეზები სხვებს დადაბრალონ. უკანასკნელ პერიოდში სისტემატურად განიხილავენ პროდუქციის ხარისხის პრობლემებს. კომუნისტები მთელი პრინციპულობით აღნიშნავენ, რა უშლით ხელს მუშაობაში. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, დაბალი საწარმოო დისციპლინა. გაერთიანების მართვის საიმედოობის რეზერვს ისეთი, ერთი შეხედვით „წვრილმანებიც" კი შეიცავს, როგორიცაა სამუშაო ადგილის სისუფთავე. ამას წინათ „კომკავშირული პროექტორის" შტაბმა მოაწყო რეიდი შემკეთებელ-მექანიკურ საამქროში. დასკვნა ასეთი იყო: თუ გაერთიანების სათანადო სამსახურები ხსენებული კოლექტივის ხელმძღვანელობას დროულად არ გაუწვდიან ნაჭარების ხელს, იგი შეიძლება ჩაიკარგოს ლითონის ბურბუშელასა და დამზადებული დეტალების გროვაში. ცინმარილების საამქროს მიერ შესაკეთებლად მოტანილი ორი მაცივარი საამქროს ტერიტორიიდან სამი წელია ადგილს არ იცვლის, კაპროლაქტამის წარმოებისათვის დამზადებული ნაკეთობანი კი ეკვნა წელია „გაუნძრევლად" აწყვია, ხოლო დიდი ტანჯვა-ვაებით გადმოტანილი ღუმელი ორი წელია არ მიაქვს მის მფლობელს — გაერთიანების ელექტროლიზერი მანგანუმის ორანგის ქარხნის ადმინისტრაციას. ოთხი წელია ამავე საამქროში ყრია გაერთიანების მომარაგების განყოფილების კონტეინერები და დღესაც არა ჰყავს პატრონი. ან კიდევ № 5-3 საამქროსათვის ჩარჩოები ოთხ თვეზე მეტია დამზადებულია და არავის მიაქვს.

ასეთი დაუდევრობა და უსულგულობა იწვევს შეფერხებებს, წუნს. ამ შემთხვევაში ქებს იმსახურებენ ნედლი ლაქტამის მეორე რიგისა და ანონის საამქროები, რომელთაც გიორგი ნიკოლიშვილი და ჭოლა რუხაძე ხელმძღვანელობენ. ავრეთვე თამარ აბულაძის, რეზო გოდერიძის ბრიგადები, მრავალი სხვა ქვეგანაყოფი, სადაც წარმოების კულტურა მაღალია, სანიმუშო წესრიგი და სისუფთავეა და მოწყობილობას კრიალი გაუდის. ამ უბნებში საქმეც კარგად მიდის, პროდუქციას მხოლოდ ჩინებული ხარისხისას ამზადებენ. ამის შედეგიც არის, რომ, თუ წლის დასაწყისში გაერთიანებამ 17 რეკლამაცია მიიღო, შემდეგ თანდათანობით იკლო მათმა რიცხვმა, აპრილის შემდეგ გამოშვებულ პროდუქციაზე აქ საერთოდ რეკლამაცია არ მიღებულა.

დისციპლინაზე, წარმოების კულტურაზე გულახდილი მსჯელობა გაიმართა კაპროლაქტამის საწარმოს პარტიულ ორგანიზაციის სხდომაზე, სადაც კომუნისტების სახელმწიფო მიღებისათვის მზადყოფნის საკითხი, ასევე ეკონომიკური ზომების ეფექტურობა, ბრიგადული ფორმა, ეკონომიკური სწავლა, ეკონომიკური ანალიზი, ეკონომიკური ინფორმაციის ბანკი, ეკონომიკური ინფორმაციის ბანკი, ეკონომიკური ინფორმაციის ბანკ

— ილიასეული ეპიტაფია დავით ჩუბინაშვილის საფლავის ქვაზე

ლენინგრადში, ოდესღაც ალექსანდრე ნეველის ლავრაში შემავალ, ახლა განაცალკევებულად არსებულ ნიკოლაკოეს სასაფლაოზე, 1891 წელს მიწას მიაბარეს XIX საუკუნის მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი, „საიდუმლო მრჩევლის“ რანგამდე აღვილნილი დამსახურებული პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა და, რაც საკუთრივ ქართველობისთვის ყველაზე ძვირფასი და სასუკეთოა — მაშინდელი რუსეთის იმპერიაში საქართველოს და ქართველთ მეობის აღორძინება-განმტკიცებისათვის თაყვანდადებულად მზრუნველ-მოამაგე, ბრძენი მამულიშვილი დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი. წინამდებარე წერილში განსასჯელ საგანთან დაკავშირებით და კიდევ იმიტომაც, რომ დავით ჩუბინაშვილის ღვაწლი და პიროვნება მიინცდამაინც ვერ არის ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისათვის, ზოგიერთ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას:

დავით ჩუბინაშვილის ძალისხმევით, XIX საუკუნის ორმოციანი წლებიდან, პეტერბურგის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც დასაბამი მიეცა ქართული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე საქართველოს ისტორიის სწავლებას; მისივე ძალისხმევით დაარსდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა პეტერბურგის უნივერსიტეტში (აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე); მან ახალ მეცნიერულ დონეზე წარმართა რუსთველოლოგიის პრობლემათა კვლევა და, მარი ბროსესთან ერთად, მსოფლიო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინტერესების სფეროში მოაქცია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“; მან შექმნა ქართულ-რუსულ-ფრანგული, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები; გამოსცა ქართული ენის გრამატიკა და ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, (როგორც საუნივერსიტეტო სწავლებისთვის, ასევე კავკასიის ოლქის გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებლებისათვის); დიდია მისი ღვაწლი ძველი ხელნაწერების შეგროვებისა და საქართველოს ისტორიის ახლებურად, ევროპის მასშტაბით, მეცნიერულ დონეზე გაშუქების საქმეში... და, ბოლოს, წლების მანძილზე, იგი იყო აღმზრდელი პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდებისა, რომელთაც, საქართველოში გამომგზავრების წინ, ასე მოძღვრავდა: „ბატონებო, ყველაზე მეტად, მთელი არსებით გიყვარდეთ საქართველო, შეისწავლეთ იგი და ემსახურეთ მას...“

მრავალი სასიქადულო მოღვაწე, მეცნიერი და მწერალი გამოეკვეა დავით ჩუბინაშვილის მეურვეობით და, მათ შორის, ბუმბერაზი ილია ჭავჭავაძეც.

ჩუბინაშვილის ნამოწაფარ დიდებულ მოღვაწეთა ცნობით, პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტებისთვის იგი იყო არა მარტო გულისხმიერი აღმზრდელი და დამრიგებელი, არამედ საკუთარი ცხოვრების მაგალითიც ეროვნულ-საზოგადოებრივი სამოღვაწეო გზებისა და მიზნების დამსაზეკელიც. მის ასეთ დახასიათებას ეხმიანება ალ. ცაგარელიადი ილიას მიერ, დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, პეტერბურგს გაგზავნილი ბარათი, რომელშიც ილია სთხოვს ალ. ცაგარელს, გვირგვინით შეამკოს კუბო ძვირფასი მასწავლებლისა ასეთი წარწერით: **„ღრმად მოხუცებულს მასწავლებელს და დამრიგებელს დ. ი.-ძეს ჩუბინაშვილს მისი მადლიერის შეგირდის თავ. ი. გრ.-ძის ჭავჭავაძისაგან“.** კიდევ უფრო მრავლისმეტყველია ჩუბინაშვილის ოჯახისადმი ილიას სამძიმარი-ბარათის შემდეგი სიტყვები: **„გულითა და სულით ვგლოვობ ღრმად პატივცემულს, ჩემს სახელოვანი მასწავლებელს და ხელმძღვანელს დავით იესის-ძის დაკრძალვასა...“**

ილია ჭავჭავაძის და დავით ჩუბინაშვილის ურთიერთობის აღმნიშვნელი ისტორიული დოკუმენტები მეტ-ნაკლები სისრულით და სიღრმით აღწერილ-შეფასებული სათანადო ლიტერატურაში.

სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში დღემდე აღუნიშნავია და, ამდენად, ქართული საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი — კერძოდ, რომ დავით ჩუბინაშვილის საფლავის ძეგლზე ამოკვეთილია ილია ჭავჭავაძის ეპიტაფია. საფლავის ქვას ჯერ რუსულად და მერმე ქართულად აწერია:

Заслуженный профессор Имперского университета Давидъ Ессеевичъ Чубиновъ
Род. ВЪ Тифлись 26 сентября 1814 г.
скончъ. ВЪ С. Петербургъ 5 юня 1891 г.

ДАВИТ ЧУБИНАШВИЛИ
ნეტარ, ვინც კარგი საქმით აღნიშნავს თავის დროსა
და აქავ ეწოფება
უკვდავების წყაროსა.

ილიასეული ეპიტაფია ჩუბინაშვილის საფლავზე ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, მეცნიერმკვლევართათვის ფრიად მრავლისმეტყველი. საუკუნის სიმორიდან იგი ინტიმურ შუქსა ფენს და ერთგვარი სიახლითაც წარმოგვიჩენს ილიას და დავით ჩუბინაშვილის ურთიერთობას პირადული და საზოგადოებრივი ასპექტებით.

ისტორიული მონაცემების გაცნობამ დამარწმუნა, რომ, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას, ილიას გარშემო მყოფ პედაგოგთა და ქართველ მოღვაწეთა შორის, დავით ჩუბინაშვილი ყველაზე დიდ ზეგავლენას მოახდენდა ილიას პიროვნების, მისი მსოფლმხედველობრივი და სამოღვაწეო პოზიციების საბოლოოდ გამორკვევა-ჩამოყალიბებაზე. აკი ზემორე ციტირებულ ილიას ბარათშიც როგორღაც საგანგებოდ ეღერს კიდევ სიტყვა „შეგირდი“... შემდგომაც, საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების დამტკიცება-ამაღლებისათვის ჩუბინაშვილის შორსმჭვრეტელურმა და უანგარო მახურებამ არაერთგზის აღფრთოვანა ილია, არაერთგზის ათქმევინა მადლობის სიტყვა. სახოგბრ ეპითეტებზე მუდამ ბრძენკაცურად თავშეკავებული ილია ჭავჭავაძე უმიზეზოდ როდი დაახასიათებდა დავით ჩუბინაშვილს **„ქეყნის გამრჯელის“, „მოამაგის“, „ხელმძღვანელის“** და მსგავსი ცნებებით. ეპიტაფიის ფაქტი კი, თავის მხრივაც, გვიმოწმებს და გვახსენებს ილიას უღრმეს პატივისცემას დავით ჩუბინაშვილისადმი.

ყველა წანამძღვარია ვიფიქროთ, რომ საფლავის ძეგლიც და მისი წარწერაც გაკეთდა 1891 წელს და, შესაძლოა, ილიას პეტერბურგში ყოფნის დროსვე. სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილ-დადგენილია, რომ ილია პეტერბურგში ბანკის საქმეებზე ჩასულა 1891 წლის 3 ივლისს და სამი თვე იქ დაუყვია (იხ. გ. ს. შარაძე, „ილია ჭავჭავაძე ევროპაში“, ჟურნ. „ჟოროხი“, 1982 წ. № 2). ცხადია, ილია ჭირისუფლობასაც გაუწევდა განსვენებულის ოჯახს პეტერბურგელ ქართველ მოღვაწეებთან ერთად. ყველანი ერთობლივად იზრუნებდნენ ამაგდარი აღმზრდელისა და უფროსი მეგობრის საფლავის მოსაწესრიგებლად. დავით ჩუბინაშვილის საფლავის ქვაზე ილიასეული ეპიტაფიის გაკეთება, უთუოდ, პეტერბურგში ილიას ყოფნის დროსვე გადაწყდებოდა. სავსებით გასაგებია, ილიასთვის ეთხოვათ დავით ჩუბინაშვილის საფლავის ქვის დამშვენება ქართული სიტყვით.

მართლაც, რა ბედნიერად და რა შორსმჭვრეტელურად, თავის მხრიდანაც უკვდავყო ილიამ ჩუბინაშვილის სახელი ბოლო საფლავის ქვაზე საკუთარი სიტყვის აღბეჭდვით. თავის მხრივაც-მეთქი, რადგან დავით ჩუბინაშვილმა, ილიას ეპიტაფიის გარეშეც, თავისი აღმატებული ცხოვრებითა და მოღვაწეობით, თვითონვე უკვდავყო თავისი სახელი, რაც ილიას მიერ ადრეც არაერთგზის თქმულა. ასე, მაგალითად, 1881 წლის 18 სექტემბერს, დავით ჩუბინაშვილის პატივსაცემად გამართულ შეხვედრაზე თბილისში, თავისი მისასალმებელი სიტყვა ილიამ ასე დაასრულა: **„ღმერთმა მჭნას, რომ... ღვაწლი თქვენი არ დაეკარგოს საქართველოს, რომელიც თქვენ გიყვართ და რომელიც დღეს თავის გულითადს პატივისცემას ჩვენის პირით მოგახსენებს“.** და განა მარტო ილიას, დავით ჩუბინაშვილის ღვაწლის და ამაგის უკვდავება აღუვლენიათ აკაკი წერეთელსაც, იაკობ გოგებაშვილსაც და ყველა დიდებულ თუ მეტ-ნაკლებად გამოჩენილ მოღვაწეებს XIX საუკუნის საქართველოში და პეტერბურგშიც.

დავით ჩუბინაშვილის სახელი საქართველოს თუმცა არ დაკარგვია და სპეციალურ მეცნიერებათა სფეროშიც იწერება გამოკვლევები მის შრომებთან დაკავშირებით, მაგრამ... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დავით ჩუბინაშვილის საფლავის ნახვა ძალზე დაალონებს ადამიანს. ასე განსაჯეთ, იგი ნიკოლსკოეს სასაფლაოს ჩვეულებრივ საფლავთა წოგნებშიც არ აღმოჩნდა აღრიცხული... როდესაც გავიგე, სასაფლაოს რეკონსტრუქცია დაწყებულა და აღურიცხველი საფლავები შეიძლება გაუქმონო, მეორე დღესვე, საკანტორო წიგნში აღრიცხვაზე ავაყვანინე საფლავი ნომრით 729.

ილიამ თითქოს განგებისად აღბეჭდა დავით ჩუბინაშვილის საფლავის ძეგლზე თავისი სიტყვა, რომ საუკუნის სიშორიდან შეეხსენებინა ჩვენთვის ღირსეული პატივისცემა ღვაწლმოსილი მამულიშვილისა.

ახლა, ორიოდე სიტყვა ეპიტაფიის საკუთრივ ლიტერატურულ ასპექტზეც უნდა ითქვას.

თავდაპირველად ეს ეპიტაფია ძივრნნი ილიას ახალ, ორიგინალურ პოეტურ ტექსტად, რადგან ასეთი არც დასწყისი და არც სათაური („ნეტარ, ვინც კარგი საქმით“) ილიას არც ერთ ლექსს არა აქვს. ეპიტაფია მივიჩნიეთ ახალ პოეტურ ტექსტად კიდევ იმიტომაც, რომ მისი ფორმა თავისთავში დასრულებულია, ანუ პოეტური ტექსტი აქ „ჩაკეტილია“ ერთ მთლიან სტროფში. ასეთ შემთხვევაში ეპიტაფიას, ტექსტობრივ-შინაარსობრივი თვალსაზრისითაც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. შემდგომ მოვიძიეთ და დავადგინეთ, რომ ეპიტაფია სახეშეცვლილი ვარიანტია ილიას ლექსის „უსულგულო ცხოვრების“ ბოლო სტროფისა. თვალსაჩინოებისათვის მოვახდენ ლექსის ციტირებას:



უსულგულო ცხოვრება
ცის ნიჭად ნუ გგონია,
იგი მიწის ყოფილა —
რასაც ბოლო ჰქონია!

ცხოვრებას აცისკროვნებს
სული საქმით მეტყველი
და ის უბოლო არის,
ვით სულის შთამბერველი.

ნეტა ვინც კარგი საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქავ ეწოფება
უკვდავების წყაროსა!

ასეთ ვითარებაში, ტექსტუალური თვალსაზრისით, ეპიტაფია ოდარ წარმოადგენს მნიშვნელოვან სიახლეს. და მაინც, გარკვეულ კერსიფიკაციულ-ტექსტუალურ სპეციფიკას იგი უთუოდ შეიცავს, რის გამო ეპიტაფია შეიძლება მივიჩნიოთ ციტირებული ლექსის მესამე სტროფის ისეთ ვარიანტად, რომელსაც ილიამ თავისთავადი დანიშნულებაც და ფორმაც მიანიჭა.

როდესაც ეპიტაფიის ტექსტობრივი წყარო დადგინდა, დაიბადა შემდეგნაირი კითხვები: რატომ მაინცდამაინც „უსულგულო ცხოვრების“ დამასრულებელი სტროფი აირჩია ილიამ დავით ჩუბინაშვილის საფლავის ძეგლის ეპიტაფიისათვის? ილიას ხომ სხვა პოეტური ქმნილებებიც აქვს, რომელთა ვარირება ეპიტაფიისათვის საჭირო შედეგს გამოიღებდა? ან კიდევ: რატომ არ შექმნა ილიამ ახალი ტექსტი ეპიტაფიისათვის და მაინცდამაინც ხსენებული ლექსის ბოლო სტროფი მიუსადაგა დავით ჩუბინაშვილის საფლავის ძეგლს?

ამ კითხვათა განმმარტავი პასუხი, დავით ჩუბინაშვილისა და ილიას ურთიერთობაზე ფიქრობ, ორიოდე ასეთი ფაქტი: ილია ეპიტაფიის საკუთრივ ლიტერატურულ ასპექტზეც უნდა ითქვას.

თავდაპირველად ეს ეპიტაფია ძივრნნი ილიას ახალ, ორიგინალურ პოეტურ ტექსტად, რადგან ასეთი არც დასწყისი და არც სათაური („ნეტარ, ვინც კარგი საქმით“) ილიას არც ერთ ლექსს არა აქვს. ეპიტაფია მივიჩნიეთ ახალ პოეტურ ტექსტად კიდევ იმიტომაც, რომ მისი ფორმა თავისთავში დასრულებულია, ანუ პოეტური ტექსტი აქ „ჩაკეტილია“ ერთ მთლიან სტროფში. ასეთ შემთხვევაში ეპიტაფიას, ტექსტობრივ-შინაარსობრივი თვალსაზრისითაც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. შემდგომ მოვიძიეთ და დავადგინეთ, რომ ეპიტაფია სახეშეცვლილი ვარიანტია ილიას ლექსის „უსულგულო ცხოვრების“ ბოლო სტროფის, რომელთა ვარირება ეპიტაფიისათვის საჭირო შედეგს გამოიღებდა? ან კიდევ: რატომ არ შექმნა ილიამ ახალი ტექსტი ეპიტაფიისათვის და მაინცდამაინც ხსენებული ლექსის ბოლო სტროფი მიუსადაგა დავით ჩუბინაშვილის საფლავის ძეგლს?

ამ კითხვათა განმმარტავი პასუხი, დავით ჩუბინაშვილისა და ილიას ურთიერთობაზე ფიქრობ, ორიოდე ასეთი ფაქტი: ილია ეპიტაფიის საკუთრივ ლიტერატურულ ასპექტზეც უნდა ითქვას.

თავდაპირველად ეს ეპიტაფია ძივრნნი ილიას ახალ, ორიგინალურ პოეტურ ტექსტად, რადგან ასეთი არც დასწყისი და არც სათაური („ნეტარ, ვინც კარგი საქმით“) ილიას არც ერთ ლექსს არა აქვს. ეპიტაფია ძივრნნი ილიას

რამეთუ დაშთნენ ქართველებად...

ეს ტაძარი დღესაც ამშვენებს სოფელს. მაშინ ასეთი საქმე ადვილად განსაბედი არ იყო — საინგილოში ძველი ქართული ეკლესიის ადგილას აშენებული მეჩითის დანგრევა და ძველის ნაფუძვარზე წმინდა გიორგის სახელობის ქართული ტაძრის აშენება გმირობას უდრიდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც, მართალია, სპარსთა, თურქთა და ლეკთა ძალმომრეობით ინგილოები გარეგნულად მაჰმადიანობდნენ, მაგრამ ფარულად მაინც ქრისტიანობდნენ. მართალია, მეფე ერეკლეს იმ გაჭირვების ჟამს საინგილო მხედველობიდან არ გამორჩენია, მაგრამ ერი თუ თავად არ მტკიცობს, ერისკაცნი თუ არ ერისკაცობენ და წინ არ მიუძღვიან ხალხს, შიგნიდან თუ არ არის თაგვამოდება, მაშინ ყოველი ცდა ამაოა.

საინგილოს, მისი ბედუკუღმართობის მიუხედავად, არასოდეს გამოლევია მაღალი ზნეობის, მტკიცე ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული მამულიშვილები. მათ შორის იყო საინგილოს ეროვნული გმირი, განმანათლებელი ივან-ბაბა (პაპა) ბულუღაშვილი, რომლის სახელსაც უკავშირდება ზემოხსენებული ქართული ეკლესიის შენებლობა და არა მარტო ეს, საერთოდ, ამ კუთხის აღორძინება, განმანათლებლური მოღვაწეობა. იგი დაიბადა 1801 წელს საინგილოში სოფელ კაკში (ახრბაიჯანის სსრ, კახის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში, მთელი სიცოცხლე ივან-ბაბამ საინგილოში ქართველთა ეროვნული სულისკვეთების, მამულიშვილური გრძნობის აღდგენის მოახმარა. მან თითქოსდა სიცოცხლე შთაბერა საინგილოს. მისი თავგამოდების წყალობით იყო, რომ კახში, ნაწილობრივ ალიაბადში (ელისენი) და მის მიდამოებში ქართველობა შეინარჩუნეს.

კაკი (კახი) და ელისენის (ალიაბადი) მხარე შაჰ-აბასის დროიდან გმინავდა აქაური სულთნების ბატონობის ქვეშ. ისინი და დაღესტნის ლეკები მოსვენებას არ აძლევდნენ ქართველებს. თავის მხრივ, ინგილოებიც ვერ შეეგუნენ

ივან-ბაბა (პაპა) ბულუღაშვილის დაბადების

185 წლისთავის გამო

ლეკთა ბატონობას და გაჩაღდა სისხლისმღვრელი, დაუზოგავი ბრძოლები, ჩამოწვა სასტიკი მტრობა. ინგილოები იბრძოდნენ, რათა დაეცვათ სარწმუნეობა, ენა და ზნე-ჩვეულებანი. ზტარავლებიც არ ინდობდნენ მათ და, თუ ხელში ჩაიგდებდნენ, მხეცურად აწამებდნენ. მაგრამ წამებულთა ადგილს ნყისვე იკავებდნენ უშიშარი მამულიშვილები.

1850 წელს სიონის ტაძარში მოინათლნენ ივან-ბაბა ბულუღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კოტე ჭირიტაშვილი და სხვები. მათს ნათლობას დიდის ამბით მიესალმა ქართველი საზოგადოება. ერის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბედუკუღმართობით დაკარგული და დაჩაგრული ძმები ერთმანეთს ეხვეოდნენ. დაიწყო დაქცეული ტაძრების შენებლობა.

სწავლა-განათლების საქმეს თავკაცობდა ივან-ბაბა ბულუღაშვილი, იგი მოუწოდებდა მოსახლეობას, ყარდაკარ ჩამოიარა ოჯახები და დაავალა — თითო ოჯახიდან თითო ბაშვი გაეგზავნათ საინგილოში ქრისტიანობის გამავრცელებელ მღვდელ მიხეილ (მირზა) ყულოშვილთან, რომელმაც თავის საკუთარ სახლში გახსნა სკოლა. დიდი და დაძაბული გარჯის შედეგად კურთხეულმა ადამიანებმა მიაღწიეს, რომ კაკში გაეხსნათ პირველი ქართული სკოლა 1858 წელს.

ინგილოები მტკიცედ იცავდნენ მშობლიურ ქართულ ენას, ქრისტიანულ რჯულს, თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღებაც არ აკლდათ, სხვადასხვა დროს მათ მხარში ედგნენ საქართველოს წარჩინებულნი — გენერალ-ლეიტენანტი ს. ციციშვილი, გრიგოლ ორბელიანი — იმხანად ავარიელი ლეკების განმგებელი ბელაქანში, ივანე თარხნიშვილი — ნუხის მაზრის განმგებელი და ა. შ.

გრიგოლ ორბელიანი თავის თანამემფეს სვიმონ შალიკაშვილს სწერდა: „ჩვენი ინგილოების ახალი ქრისტიანობის ამბავი ნოამწერეო, ემატებიან ნათლისცემითა? ანუ შიში ხომ არავისი აქვთ?

ეკლესიები როგორ შესრულდნენ ბატებითა, ან წირვა-ლოცვა ხომ არის ყოველთვის? მომიკითხე კიდეც ჩვენი ინგილოები და უთხარ, რომ ნუ ეშინითა, არავის დავაჩაგვრინებთ“.

ივან-ბაბა (პაპა) ბულუღაშვილი ამოღებული ხმალი იყო საინგილოს მტრებისათვის. ცხობილი ინგილო მოღვაწე, მოსკოვის არქეოლოგიური აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი მოსე ჯანაშვილი მას „უკვდავი ერის წინამძღოლ ივან-ბაბას უწოდებს“. მან თავისი საქმის განმგრძობიც დატოვა თავის შემდგომ — მიხეილ ყულოშვილი, დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები, სოფიო ყულოშვილი, ბათლომე ხუციშვილი, აბელ ბაირამაშვილი და სხვები.

1872 წელს გარდაიცვალა ივან-ბაბა ბულუღაშვილი, დაკრძალულია კახში, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, ინგილოთა საძვალეთ სავანეში. მას აღუმართეს ძეგლი მოკლე და მრავლისმეტყველი წარწერით: „1850 წელს იხსნა საინგილო გადარჯულებისაგან“.

ეშმარიტად, კურთხეულია მისი სახელი და იგი მარად დარჩება შთამომავალთა ხსოვნაში, „რამეთუ დაშთნენ ქართველებად“ (მოსე ჯანაშვილი). მსგავს მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფა საშვილიშვილო საქმეა, განა ურიგო იქნება, მაგალითად, კახში დაწესებულიყო ივანბაბობა, რაც საშობლოს ამ ღირსეული შვილის ღვაწლის კარგი დაფასებაც იქნებოდა და მაგალითიც ჩვენი მომავალი თაობისათვის.

მიხეილ ყულოშვილი.

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა უჩვენა ახალი ნამუშევარი — ამირან შალიკაშვილის ნოველა „მომავლის იმედით“, რომლის დადგმა და მუსიკალური გაფორმება მასვე ეკუთვნის, რეჟისორია კ. მებუკე.

სპექტაკლში მონაწილეობენ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები ი. სარალიძე, ჰ. ციქურიშვილი, ო. კურტანიძე და მსახიობი გ. ოსეფაშვილი.



სურათზე: „მომავლის იმედის“ სცენა.

ვ. ჯბერაძიანის ფოტო.

მზე — დედამიწა: კვლევის პერსპექტივები

მზე-დედამიწა კავშირის ფიზიკის პრობლემებს განიხილავენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „მზე-დედამიწა“ საბჭოს სამეცნიერო სესიის სხდომაზე, რომელმაც მუშაობა დაიწყო თბილისში. თვალსაჩინო მეცნიერებმა — ქვეყანაში გეოფიზიკურ გამოკვლევათა ხელმძღვანელებმა და კოორდინატორებმა უნდა დააზუსტონ მზე-დედამიწა კავშირის უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ასპექტების შესწავლის უახლოესი პერსპექტივისათვის დასახული მთელი რიგი საერთაშორისო პროგრამების განხორციელებაში საბჭოთა სპეციალისტების კოლექტივთა მონაწილეობის გეგმები. კერძოდ, ნავარაუდევია თანამშრომლობა ისეთი პროგრამების ფარგლებში, როგორიც არის „მზე-დედამიწის ფიზიკა“, „მზე — დედამიწის ენერგია“, „გლობალური გამოკვლევები იონოსფეროსა და ატმოსფეროში“ და სხვ.

— იმ პროცესების შესწავლა, რომელთა დროსაც მზეზე წარმოქმნილი სხვადასხვა სახეობის ენერგია გავლენას ახდენს არა მარტო დედამიწის ირგვლივ სივრცეზე, არამედ თვით სიცოცხლეზეც დედამიწაზე, მზე-დედამიწის კავშირის ფიზიკის შემსწავლელი სპეციალისტების ძირითადი ამოცანაა, — თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „მზე-დედამიწა“ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. მიგულინმა. —

თბილისი შემთხვევით როდი აირჩიეს საბჭოს მორიგი სხდომის, გეოფიზიკოსების წარმომადგენლობითი სამეცნიერო სესიის გამართვის ადგილად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტსა და ამასთანავე ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი წლის მანძილზე ხორციელდება მნიშვნელოვანი გამოკვლევები მზე-დედამიწის კავშირის ფიზიკის ფართო წრის საკითხებზე.

სურათზე: „მომავლის იმედის“ სცენა.

ვ. ჯბერაძიანის ფოტო.

ხელოვნების სიახლენი

კინოსტუდია „მოსფილმის“ შემოქმედებითი ჯგუფი სირიის კინოკომპანია „განემ ფილმის“ მონაწილეობით თბილისში იღებს ფერად მხატვრულ ფილმს „ახლო აღმოსავლური ამბავი“, რომელსაც დგამენ იგორ გოსტევი და სირიელი რეჟისორი რიმონ ბუტროსი.

ახალი ფილმი პოლიტიკური დეტექტივის ჟანრისა იქნება. იგი ეხება თანამედროვე ვითარებას მსოფლიოში, აფეთქებასაშიშ სიტუაციას ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში, ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების პროვოკაციულ მოქმედებას, საბჭოთა ადამიანების ერთგულებას ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკისადმი.

ფილმში მონაწილეობენ პოპულარული მსახიობები ლ. ფილატოვი, ს. ჭიაურელი, დ. ბანიონისი, გ. ეფხოვი, ი. ბუდრაიტისი, გ. პოლსკიხი, ლ. კურავლიოვი, სირიელი მსახიობები.

უკვე გადაიღეს ეპიზოდები სირიის არაბთა რესპუბლიკასა და ავსტრიაში.

სურათებზე: გრაიონა შიპოლოვსკა და დონატას ბანიონისი ერთ-ერთ ეპიზოდში; დამდგმელი ოპერატორი ა. ივანოვი და დამდგმელი რეჟისორი ი. გოსტევი მორიგი დუბლის გადაღების წინ.

ო. თურძიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყაბალი

მემორიალი საზეიმოდ დაიხურა

ვიქტორ გოგლიძის მემორიალის უკანასკნელ მეთხუთმეტე ტურში აზმაიფარაშვილ-რომანიშვილისა და ტალ-კაიდანოვის ცენტრალური პარტიები ყაიმით დამთავრდა. უბილავამ მოუგო მაკდონალდს, კანცლერი ყაიმზე შეუთანხმდა კაროლს, ხოლო მალანიუკს ქულა ჩაეწერა გურგენიძესთან. ორი პარტია გადაიდო.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას არხიპოვმა მოუგო პეკარეკს, ზაიჩიკი და ცვეტანი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად 10-10 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს მსოფლიო ექსჩემპიონმა ტალმა და საერთაშორისო ოსტატმა აზმაიფარაშვილმა. ორივე მოჭადრაკემ შეჯიბრება დაუთარეხებლად წარმართა. ტალი თამაშობდა მეტად მსუბუქად, მთელ რიგ შემთხვევებში არ ერიდებოდა სწრაფ ყაიმებს. მის მიერ მოგებულ პარტიებში უნდა აღინიშნოს ლამაზად ჩატარებული იერიში ზაიჩიკთან.. ტალი ერთადერთი იყო მონაწილეთა შორის, რომელსაც ექსტრაკლასის მოჭადრაკის რეიტინგი (2600) ჰქონდა. ახლა მისი რეიტინგი კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

აზმაიფარაშვილი სისტემატურად აღწევს მაღალ შედეგებს, მაგრამ მემორიალში გამარჯვება მის ყველაზე უკეთეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ზურაბმა გადააკრბა დიდოსტატის ბალისათვის განკუთვნილ ნორმას. გამოთვქვამთ იმედს, რომ ნიჭიერი ქართველი მოჭადრაკე მეორე ბალსაც მალე მიიღებს.

9,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს რომანიშვილმა და კანცლერმა. თუ რომანიშვილს გაცილებით უკეთესი შედეგებიც ჰქონია, ახალგაზრდა ყანცლერისათვის თბილისში საპრიზო ადგილზე გამოსვლა უდავოდ ბრწყინვალე წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

მეხუთე ადგილზე 8,5 ქულით გამოვიდა უბილავა, 8-8 ქულა აქვთ ცვეტანსა და მალანიუკს, 7,5-7,5 — ზაიჩიკსა და კაიდანოვს, 6,5 — არხიპოვს, 6 — ფოიშორს, 5,5 — კოროლს, 4 — მაკდონალდს, 3 — გურგენიძეს და 1,5 — პეკარეკს.

გუშინ ტურნირი საზეიმოდ დაიხურა. გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი გადაეცა საერთაშორისო ოსტატს ელიზბარ უბილავას.

გ. გამრეკელი.

მოკლედ

ვიდეობა. ივანოვო-ფრანკოვსკში დამთავრდა ორგზის სსრ კავშირის გმირის ს. კოვპაპის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც რვა რესპუბლიკის 180 ახალგაზრდა სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. 82 კგ. წონითს კატეგორიაში გაიმარჯვა თბილისელმა კობა ლობჟანიძემ („სპარტაკი“).

მზე-დედამიწა

ქორვაჭრები თავისასებრ მეშლიან

ბოლო დროს აჭარაში, მრავალმხრივი ღონისძიებები ხორციელდება რესპუბლიკის გარეთ სასპეციალიზოდ ციტრუსის ნაყოფის გატანის აღსაკვეთად. გაიმართა სოფლის მშრომელთა ყრილობები, ბევრი გზას აცდენილი სამარცხვინო ბოძზე გააკრეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ციტრუსის სასპეციალიზოდ გატანის მცდელობის ფაქტები ჯერ კიდევ მაინც არის.

წელს 29 ოქტომბერს ქ. სოჭში შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებმა დააკავეს ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნისა და „აჭარხილბოსტანეაჭრობის“ კუთვნილი ავტომანქანები, რომელთა მძღოლებს უკანონოდ გაჭრილდათ 23 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი.

აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი მოკვლევით დადგენილია, რომ 16 ოქტომბერს ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნიდან ამავე საწარმოს კუთვნილი „კამაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანით როსტოვის ოლქში გაიგზავნა 1725 კილოგრამი სამედიცინო პრეპარატი, ხოლო 17 ოქტომბერს „აჭარხილბოსტანეაჭრობის“ ავტომანქანით როსტოვის ოლქში გაიგზავნა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. დადგენილია ისიც, რომ „ხილბოსტანეაჭრობის“ ავტომანქანის ათტონიანი მისამაქენი შეაცალეს № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს 20-ტონიანი ძარით. (მძღოლები — როლანდ ხალვაში და ილია მამაშვილი). რა თქმა უნდა, გაგრის ხერგილის გავლამდე მძღოლებს დასჭირდებოდათ დაახლოებით 12 საათი. ისინი კი სოჭში დააკავეს 12 დღის შემდეგ. ბუნებრივად იბადება კითხვა: მანქანები სად იყო ამდენი ხნის განმავლობაში? ციტრუსი ეკრძო ჩამბარებლებისაგან წაიღეს თუ შესაფუთი ქარხნებიდან? სწორედ იმხანად მოსკოველი მშრომელებისათვის საქართველოდან იგზავნებოდა დიდძალი ციტრუსი. იქნებ ამით ისარგებლეს და რომელიმე დამამზადებელი ორგანიზაციის კომბინატორებს დაუკავშირდნენ? საეჭვო აქცია წინასწარ რომ იყო დაგეგმილი, იქიდანაც ჩანს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციის მანქანები, რომლებიც სხვადასხვა დღეს გავიდნენ რეისში, ერთად აღმოჩნდნენ სოჭში.

რა თქმა უნდა, იბადება სხვა კითხვებიც: როგორ დაიწყეს თავი მძღოლებმა გაგრის ხერგილს, იმ დღეებში ხერგილზე ვინ მორიგეობდა? სოჭის მილიციის მუშაკებმა მძღოლები რ. ხალვაში და ი. მამაშვილი გადასცეს გაგრის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებს, მაგრამ გაგრაში ორივე მძღოლმა მიატოვა მანქანები და „გაუჩინარდა“. ამის მიიმა საეჭვო ფაქტები იმალება. მოკვლევა არ იქნება სრულყოფილი, შეძლი თუ არ მოეფინა ყველა კითხვას.

მზა გადავაღოთ უზრდელ ბიუროკრატს

ციტრუსებს

**ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.